

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
ბ. წამბეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

# ფინიკის ხე და თხა

ფადაურიდან თარგმნა, გამოკვლევა და  
დექსიკონი დაურთო  
თეო ჩხეიძემ



„მეცნიერება“  
თბილისი  
1991

წინამდებარე წიგნში საქართველოში პირველად ქვეყნდება საშუალო სპარსული პოემა "ფინიკის ხე და თხა". ეს ნაწარმოები საინტერესოა როგორც ნიმუში სასაანური ირანის (III-VII სს.) პოეზიის, აგრეთვე, როგორც მდიდარი დექლიკის შემსუვარი. პოემა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი სპარსულ დიტერამბოში მებრუნ პოპულარული ჟანრის "გაზაასეზის" სათავეში დგას, რომელმაც გავრცელება უკვე ქართულ პოეზიაშიც.

რედაქტორი ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

მ. ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი დ ი

რეცენზენტები ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატები:

ი. ს უ ლ ა კ ა ძ ე, დ. ბ ი უ ნ ა შ ვ ი დ ი

0502000000

ა 0502000000 120-90  
M607(06)-91

© გამომცემლობა "მეცნიერება", 1991

ISBN 5-520-00635-0

პართელთა ძლიერი იმპერიის დასრულების შედეგად შეიქმნა სასანელთა ირანის სახელმწიფო (III-VII სს.) მან, ზუნებრივია, შეითვისა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და განავითარა ძველი ტრადიციები, მაგრამ ამავე დროს ამ პერიოდში შეიქმნა მრავალი უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო ნაწარმოებები. სამწუხაროდ, ჩვენამდე ყველაფერმა ვერ მოაღწია, მაგრამ ის, რაც შემოგვრჩა, ცხადპყოს სასანური ხანის ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების მაღალ დონეს. ლიტერატურული ძეგლების უმეტესი ნაწილი რელიგიურ ფილოსოფიური ხასიათისაა, მრავლად გვხვდება დიდაქტიკური ნაწარმოებებიც. ცნობილია იურიდიული და გეოგრაფიული ტრაქტატებიც და სხვ. ყველა ეს ნაწარმოებები დაწერილია პარზით. პოეტური შემოქმედების ნიმუში /ჩვენამდე მოღწეული/ მხოლოდ ორია: "ზარერის იადგარი" და პოემა "ფინიკის ხე და თხა"

პოემას სახელწოდება არ აქონდა. ასე იგი "მონათლა" ცნობილმა ინდოელმა ირანისტმა, ზოროასტრული ტექსტების გამომცემელმა და მკვლევარმა J.M. Jamasp-Asana -მ, პოემა შედის საშუალო სპარსული ტექსტების კოლექციის - Pahlavi Texts, vol.2. შემდეგ იგი გამოსცა E.Bloche Drakth i Āsūrik Manuscrit Supplement persan. მასვე ეკუთვნის ფრანგული თარგმანი.

ამ ნაწარმოებს შეეხო E.W. West -ი ნაკვეთში "ფაღური ლიტერატურა", რომელიც შედის GrIrPh -ის II ნაწილში. შემდეგი გამომცემა ეკუთვნის ინდოელ ირანისტს J.M. Unvala (BSOS, 1921, pt. II).

თხზულების ენობრივ - თავისებურებებს შეეხო ცნობილი ირანისტი Chr. Bartholomae. მან ყურადღება მიაქცია საშუალო სპარსულ ნაწარმოებში შემორჩენილ პართულ დექსიკას, გამოყო "პართოზმები", როგორცაა პართ. kar-, საშ. სპ. kun- "კეთება" ზმნის აწმყოს ფუძე.

kirz- hil- hištan 'დატოვება, გათავისუფლება' ზმნის აწმყოს ფუძე.

aš- āy- āmatan "სვლა /მო/ სვლა" ზმნის აწმყოს ფუძე. მიმღ. āšān დასულია გეოგრაფიულ ტერმინში Xorāsān, ე. ი. "მზის ამოსვლის მხარე" იხ. Horn, GrIrPh., I,2, გვ. 176.

wāz- gōw- თქმა, დაპარაკი" ზმნის აწმ. ფუძე  
wāxt- guft "თქმა, დაპარაკი", ზმნის ნამყოს მიმღეობა  
haw ān III პ. ჩვენებითი ნაცვალსახელი 'ყველა, ყოველი'

/მრავლ. რიცხვში/

če i

/იზაფეტის ფუნქციით/

yad tak/tā

წინდებული-კავშირი.

wasnāb

'ვიდრე, -მდე' შეესატყვისება

rāb/ray თანდებულს '-თვის, გამო'

bld did

'მეორე, სხვა.'

ზართლომეს აზრით<sup>1</sup>, ტექსტში დამოწმებული პართული დექსიკა ცხად-პყოფს იმას, რომ ნაწარმოები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვრცელდებოდა ზეპირი გზით და მისი ჩაწერა მოხდა უფრო გვიან<sup>2</sup>.

ჟ. თავადიაც, საშუალო სპარსული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, ამ ნაწარმოებს მიიჩნევს ფოლკლორ-საკარო პოეზიის ნიმუშად. მკვლევრის აზრით, ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია პოემის დასკვნითი ნაწილი:

"და თხა წავიდა გამარჯვებული,  
ფინიკი დარჩა დამარცხებული.  
ვუმღერი მას, ვინც შემოინახა,  
ვინც დედნიდან ეს გადაწერა.  
დარჩეს სიმღერად სახელი მისი,  
და თავმოჭრიდი იხილოს მტერი!"

აქ ერთდროულადაა მოხსენიებული დაწერილი ნაწარმოები და მისი ზეპირი შესრულება სიმღერა, რაც მკვლევარის აზრით, გულისხმობს ლიტერატურულ მოღვაწეობასა და ზეპირ გადაცემას. უთუოდ, პართულ ხანაში შექმნილი ეს პოემა ვრცელდებოდა ზეპირი გზით და ჩაწერილი იქნა სასანურ ხანაში<sup>3</sup>.

ყურადსაღებია ს. სმიტის შემდეგი დაკვირვება. ფადაური ორიგინალი დაიწერა სასანურ ხანაში, როდესაც ტიგროსის ველზე ზორასტრიზმის რეალური მტერი იყო არა ასურული პაგანიზმი, არამედ ქრისტიანობა. ხოლო ეს ნაწარმოები ასახავს ვითარებას, დამახასიათებელს აქამანური ეპოქისათვის ან სედევიცილების პერიოდისათვის. აქედან ავტორს გამოაქვს საკვებით

<sup>1</sup> C.C. Bartholomae, Zur Kenntnis der mitteliranischen Mundarten, 4, Heidelberg, 1922, 23-28.

<sup>2</sup> მ. ზოსის აზრით, ტექსტში უხვად არსებული ნარევი დიალექტური ფორმები არის კვადი იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოემა ვრცელდებოდა ზეპირი გზით. M. Boyce, Middle persian literature, Handbuch der Orientalistik, I Bd, 2, Leiden-Köln, 1968, გვ. 55.

<sup>3</sup> J. Tavadia, Die Mittelpersische Sprache und Literatur der Zarathustrier, Leipzig, 1956.

სამართლიანი დასკვნა, რომ ფილური ვერსია ეყრდნობოდა უფრო ადრინდელი ორიგინალს<sup>4</sup>

ის ფაქტა, რომ არსებობდა ამ ნაწარმოების უფრო ადრინდელი ვერსია, რომელმაც ზეპირი გზით მოაღწია მოგვიანო ხანამდე, აღნიშნული აქვთ მ. ბოისსა და ჯ. ბოლონგის<sup>5</sup>

ჯ. ბოლონგი ამ ძეგლის მიიჩნევს საშუალო ირანული პოეზიის აყვავების პერიოდის ნიმუშად. მისი აზრით, ამ ზარწყინვადე ლიტერატურის შემკვიდრებობიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მცირე ნაწილი: ეპიკურმა პოემამ "ზარერის იადგარმა", ხალხური ტიპის (familiare) "ფინიკის ხე" და რელიგიურმა ლირიკამ - მანიქეური ჰიმნების სახით<sup>6</sup>

პართული გავლენის დამადასტურებელია "ფინიკის ხეში" გამოყენებული გამოთქმა tak ó roc yawet "მარადიულ ღღემდე", შესაბამისი ქართული "აწ და მარადის"-ისა, რომელიც გვხვდება "ზარერის იადგარში", ასევე პართული დედანზე დაფუძნებულ ტექსტში, შერ. "ზარერის იადგარ":

u nám-awurt boweh  
gatan (è) roc yawet

"იყავ სახელოვანი აწ და მარადის!"  
და "ფინიკის ხე:"

bašnum ést zargón  
yat ó rož yawet

"ჩემი კენჭერო ოქროსფერია, მარადიულ ღღემდე"

ის პოემა, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღმოაჩინა ე. ბენვენისტმა. მან აღადგინა ნაწარმოების პოეტური ფორმა და წარმოადგინა შერჩეული ადგილების ტრანსკრიპცია<sup>7</sup>

მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა ამ თხზულებას უ. პენინგმა<sup>8</sup> იგი აღნიშნავდა, რომ პოემა ჰომოტონურია, რაც განპირობებული იყო

---

<sup>4</sup> S. S m i t h, Notes on "The assyrian tree", BSOS, 1926, გვ. 76.

<sup>5</sup> M. B o y c e, დასახ. ნაშრ., გვ. 54-55.

<sup>6</sup> G. B o l o g n e s i, Osservazioni sul Draxt-i Asurik, Rivista degli Studi Orientali, vol. XXVIII, fasc. I IV, Roma, 1953, გვ. 176.

<sup>7</sup> Le texte du Draxt Asurik et la versification pehlevie, JA 1930, გვ. 193-225.

<sup>8</sup> W.B. Henning, A Pahlavi Poem, BSOAS, pt. 13, 1950, გვ. 641-648.

დეკლამაციის მანერით. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია მთელ რიგ თავისუბურებებს, დამახასიათებელს ამ ტექსტისთვის, მაგ., იზაფტის თავისუფალი გამოყენება, რაც დამოკიდებულია გადამწერის ნება-სურვილზე და გავლენას ახდენს სადექსო სტრუქტურის ზომაზე.

ასევე, ქენინგის აზრით, ტექსტი საკმაოდ დაშინებული არაკომპეტენტური გადამწერების მიერ, რომლებიც თვითნებურად ექცეოდნენ დედანს. მაგალითად, გვხვდება ასეთი ვარიანტები: asp და aspā, xyōnān და xiyōnān; aslī, postā ovāš (uš-ისთვის) mazdesnān, მაგრამ mazdayasnān და სხვ.

სადექსო სტრუქტური შეიცავს საშუალოდ ორმეტი მარცვალს, შუაში ცვლურით. პირველი ნახევარი იწყება ფორმულით: "x-ს აკეთებენ ჩემგან," პირველი სიტყვა შეიძლება იყოს ერთ-, ორ-, სამმარცვილიანი, ამის მიხედვით, პირველ ნახევარში შეიძლება გვქონდეს 5, 6 ან 7 მარცვალი, ხოლო მეორე ნახევარი, ზუნებრივია, ეთანხმება სიგრძით პირველს:

12. cōb az man karēnd ke tō grīw mazēnd 5 + 5 = 10

11. rasan az man karēnd ke tō pāy bandēnd 6 + 5 = 11

49. ambān az man karēnd wāzārganān wasnād 6 + 6 = 12

16. sīr hēm varziyārān angubēn āzādmardan 6 + 7 = 13

6. gyāgrōb az man karēnd ke wīrazēnd mehan ud mān

6 + 8 = 14

თავის ნაშრომში ქენინგი ეხება აგრეთვე ზოგიერთი სიტყვისა თუ ფრაგმენტის წაკითხვა-განმარტებას<sup>9</sup>

ჰოლმის დექსთწყობის შესახებ აზრი გამოქმული აქვს S. Sahaked-ს. მისი დაკვირვებით, დექსი არ არის იზოსილაზური, ამულავენებს ტენდენციას 11-მარცვილიანი სტროფისა, რაც პარადელს ჰოლოზს ირანულ მანიქურ პიმენ-ში<sup>10</sup>

სიხშირე 11-მარცვილიანი სტროფისა არ არის მოულოდნელი საშუალო ირანული თავისუფალი ჯომოტონური დექსისათვის. "ფინიკის ხეში" გამოყენებულია ორი მახვილი ნახევარ სტროფზე და ამ მხრივ იგი ეთანხმება მანიქურს<sup>11</sup>

---

<sup>9</sup> იქვე, გვ. 642 და შემდეგ. მაგალითად, პართული სიტყვის გამოყენება საშუალო სპარსულის გვერდით, მოწმობს იმას, რომ ენობრივი თვალსაზრისით ტექსტი არაა ერთგვაროვანი და შეიცავს სხვადასხვა დიალექტის ფორმებს.

<sup>10</sup> S. S c h a k e d, Specimens of Middle Persian Verse. W. B. Henning Memorial volume, London 1970, გვ. 395-405.

<sup>11</sup> C h r. B r u n n e r, The Fable of the Babylonian tree, pt. I, JNES, vol. 39, 1980, № 3, გვ. 192.

ჰომერის მომდევნო გამოყვანა ეკუთვნის აბადანის<sup>12</sup>. სადღეისოც ნაწი-  
რმოების საუკეთესო გამოყვანად შეიძლება მივიჩნიოთ ირანელი მკვლევრის  
მანიარ ნავაზის პუბლიკაცია

منظومه درخت آسورگ . متن پہلوی ، آوا فوشت ، ترجمه فارسی  
فهرست واژه ها و یادداشتها از ماهیار فوایی ، تهران ، ۱۳۴۶  
ფილავურ ტექსტს ახლავს ლათინური ტრანსკრიპცია, ახალი სპარსული  
მარგმანი და ლექსიკონი. ამ გამოყვანის შესახებ საყურადღებო შენიშვნები  
გამოაქვეყნა მანსურ შაქიმ<sup>13</sup>.

წინამდებარე გამოყვანა ეყრდნობა ნავაზის ტექსტს.

Draxt i Āsūrik u būz / "ფინიკის ხე და თხა" / არის ლექსად შეთხზული  
არაკი, რომელსაც ავტორი უწოდებს სიმღერას. აქედან შეიძლება გამომდინარეობს  
დასკვნა, რომ მას ახლდა მუსიკალური ორნამენტები, მას მღეროდნენ ან  
ასრულებდნენ როგორც რეჩიტატივს. ამ ტიპის ნაწარმოებები უარყოფილი იყო  
გაურყევლებული ძველ ახლო აღმოსავლეთში; ზაბილიზური, შემგრულ-აქადური  
ლიტერატურა წარმოგვიდგენს ამ ტიპის სიმღერა-არაკების დიდ რაოდენობას<sup>14</sup>

ჩვეულებრივ ამ არაკებში ორი მოქმედი პირია და ყოველი მათგანი  
ყდილობს დაამტკიცოს თავისი უპირატესობა მეორეზე. კამათი ატარებს  
საკმაოდ ცხარე ხასიათს, მოპაექრენი არ ინდობენ ერთმანეთს და ორივე  
ყდილობს, რაც შეიძლება მეტად დაამყიროს მეორე და იქნოს საკუთარი თავი.

მარადირა, საშუალო ირანული ლიტერატურისათვის კარგადაა ცნობილი  
ჰაექრობის ფორმით დაწერილი, სხვადასხვა თვალსაზრისის ჭიდილის გამო-  
მხატველი ნაწარმოებები. მაგრამ ზოროასტრულ ტექსტებში ჰაექრობა-კამათი  
ატარებს ფილოსოფიურ-რელიგიურ ხასიათს, უმეტესად აბსტრაქტულს<sup>15</sup>

განსაკუთრებით პოპულარული იყო ჰაექრობები ხალიფა ადმა' მუნის  
/819-833/ კარზე. ჩვენამდე მოაღწია თხზულებამ "Matikan i gizastak  
Abālis' / "ამბავი წყველი აბალიშისა" /, რომელიც წმინდა კაცი. მაზდეა-

<sup>12</sup> F a r h a d S. A b a d a n i, Draxt-i Asūrik. Journal of the  
K.R. Cama Oriental Institute, 1956, № 38.

<sup>13</sup> M. S h a k i, Observations on the Draxt i Asurig, AO, I, 43,  
1975.

<sup>14</sup> E. E b e l l i n g, Die Babylonische Fabel und ihre Bedeutung  
für die Literaturgeschichte. MAOG 2/3, Leipzig, 1927, გვ.14-15.

W.G. L a m b e r t, Babylonian Wisdom Literature, Oxford, 1960,  
გვ.154. ზრუნერის დას. ნაშრ., გვ. 194-195.

S i d n e y S m i t h, Notes on "The assyrian tree", BSOS,  
1926, გვ. 64-76.

<sup>15</sup> M. M o l é, La Légende de Zoroastre selon les textes pehle-  
vie, Paris, 1967.

ს.პრ. - დღეების ღამეა მცოდნე, ზრდენი მოგვი ათურფარნაზალი ეკამათებ  
ერეთიკოსს აზალიშს. იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა როგორც მაზდეანური რელი-  
გიის არსსა და ღოგმებს, ისე პრაქტიკულ მხარეს. მაგალითად, იგი აყხადე-  
ზა - თუმცა ოპრმაზდის მიერაა შექმნილი წყალი და ცუცხლი. მაგრამ ისინი  
თავის თავში შეიყავენ გამანადგურებელ ძაღას; ისჯება ის, ვინც წყალს ან  
ცუცხლს მიაკარებს გვამს - ეს სასჯელი ოპრმაზდმა დააწესა თუ აპრიმანმა  
და სხვ. ურწმუნო აზალიში არ ცნობს ღოცვას, მიძღვნილს საღვთო ცუცხლისა-  
დში, წმინდა სარტყელს-კუსტიკს.

კოთხვა-პასუხის სახით დაწერილი ნაწარმოებები მეტად პოპულარული იყო  
ირანში. მათგან შეიძლება დავასახელოთ "Dātastān ī denik" / "რელიგიური  
განსჯა" / იგი შეიყავს პასუხს 92 კოთხვაზე: კეთილი საქმე და ცოდვა.  
ტრადიციები და ქურუმული მოვადეობები, ცერემონიები და სამართალი, ურთი-  
ერთობა კეთილ და ზოროტ არსებებს შორის, ზედისწერის პრობლემები და სხვ.  
მისი ავტორია ფარსისა და ქერმანის ზორასტრიული სამღვდელოების უხუცესი  
მანუშიჩიპრი.

ამ უანრის ნაწარმოებთ შორის ყურადღებას იპყრობს Škand gumānik  
vičār / "ეჭვის გამქარწყველი განმარტებები" /. ტექსტის ავტორია მოგვი  
მარტანფარნახ, მან მოუყარა თავი პოლემიკას სხვა რელიგიური თვალსა-  
ზრისის წარმომადგენლებთან - მუსლიმებთან, ებრაელებთან, ქრისტიანებსა და  
მანიქეველებთან.

კოთხვა-პასუხის ფორმიტა დაწერილი მცირე ენციკლოპედია Dātastān  
ī menokē xrat "განრიგებანი ზეციური სიზრდისა" მასში ზრდენი სვამს 62  
კოთხვას და იღებს საჭირო პასუხებსა და განმარტებებს. მაგ., ზრდენი  
ეკითხება ციურ გონს: როგორ უნდა შევინახო სხეული, რომ ზიანი არ მივაყ-  
ნოთ სულს და როგორ მოვუაროთ სულს, რომ არ დავაზიანოთ სხეული? ამ  
კოთხვაზე ციური გონი აძღვეს ვრცელ პასუხს, სადაც სხვათა შორის შემდე-  
გია ნათქვამი: "ზატონებთან უნდა გამოიჩინო მოჩიღება, ერთგულება და  
სთქვა სიმართლე" / როგორია რეკომენდაცია მტრების მიმართ? "უნდა იყო მათ-  
დამი მომთმენი, რზილი და კეთილი" /

აგრეთვე ზეციური გონი ურჩევს მაზდეანელს "ნუ იქმნ ცილისწამებას,  
ვერაგობას, რადგან ამით სულს ზიანს მოუტან" <sup>16</sup>

პაექრობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებული  
ადგილი უკავია Mātikān ī Yōst ī Friyān-ს / "ამზავი რომტი ფრიანისა" /  
ნაწარმოების გმირი ახადგაზრდა. რელიგიურ საქმეებში კარგად განსწავლული  
კაცია, რომელსაც აქვს ჭიდილი ზოროტ ჯადოქარ ახტანთან. იგი აძღვეს რომტს  
ამოსახსნედად ვერაგულ და რთულ შეკითხვებს, გამოყანების სახით. კეთი-  
ლი, ზებუნებრივი ძაღის ჩარევის შედეგად რომტი წარმატებით ართმევს თავს  
ამ გამოყანებს და საზოლოდ ამარცხებს ზოროტ ჯადოქარს.

ო. კლიმას დაკვირვებით, ეს სიუჟეტი მოკლდაა მოყმული ავესტაში / V

<sup>16</sup> H. S. Nyberg, Hilfsbuch des pehlevie, I, Uppsala, 1928.



იაშტი/ და საშუალო სპარსული ღებენდა არის ავესტის ამ ჟრგმენტის გამო-  
დახილი<sup>17</sup>, მსგავსია იმისა, რაც გვხვდება საკვლევე ირანულ ტექსტში.

"ფინიკის ხე და თხა" ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მოკამათენი არ  
ეკუთვნიან ერთ სახეობას: მცენარე და ცხოველი. ძველ სემიტურ ტრადიციებში  
ამ ტიპის არაკეზიუც ცნობილია, მაგალითად "Enkidu და Dumuzi", ან  
ეზრაულ-სპარსული "ცხვარი და თხა", ამ არაკეზიუც ფუნქციონირებდა უფრო  
მეტადაა დატვირთული მცენარე და შესაბამისად, მისი მნიშვნელობაც უფრო  
დიდია, ვიდრე ცხოველისა. მათგან განსხვავებით, "ფინიკის ხეში" უფრო  
დიდია ცხოველის როლი, ვიდრე მცენარისა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან  
ირანის ეკონომიკურ ცხოვრებაში მესაქონლეობა წამყვანი დარგი იყო და  
მცხვარეობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ირანულ არაკეზიუც ავტორი თითქოს ატამებს ამ პაექრობის შედეგებს და  
ასკვნის:

"და თხა წავიდა გამარჯვებული,  
ფინიკი დარჩა დამარცხებული"

მევედაროთ ამას ვაზის გამარჯვების ამსახველი ჟრგმენტი ეზრაულ-  
სპარსული არაკედან "ცხვარი და ვაზი"

"ზეზერო ცხვარო, გამშორდი ჩქარა,  
ვაზზე უმჯობესი ქვეყნად რა ქმნილა?!"<sup>18</sup>

ზურნერის დაკვირვებით, ჩვენამდე მოღწეულ ძველ ირანულ ტექსტებში არ  
ჩანს მცენარეთა და ცხოველთა არაკეზიუც, ესოდენ კარგად წარმოდგენილი შეშე-  
რულ და აქადურ ლიტერატურაში. ავტორი სავსებით სამართლიანად წერს, რომ  
ამ მოვლენას ვერ ავხსნით ზოროასტრული რელიგიის გავლენიანი ქურუმების  
მიერ ამ უანრის უგულებელყოფით, რომლებიც უპირატესობას აძლევენ რელი-  
გიურ-დიდაქტიკური უანრის ნაწარმოებებს<sup>19</sup> უთუოდ სასანურ ირანში გარდა  
საკვლევეი არაკისა იყო სხვების, რომლებშიც მოქმედებდნენ ცხოველები ან  
მცენარეები.

ძველ სემიტურ არაკეზიუცში ხშირია "სიმეტრიული" სტრუქტურა, როდესაც  
ერთმანეთს ეკამათება ერთი სახეობის წარმომადგენლები ხე: ღერწამი, ან  
ქერი: ხორბალი, ან ძროხა: ცხენი, გვხვდება ასიმეტრიულიც, მაგ., აპოკა-

---

<sup>17</sup> იხ. O. K l i m a. Die religiöse Pahlavi- Literatur, გვ.40-43. წიგნში Iranische Literaturgeschichte von J. Rypka, Lei-  
pzig, 1959. M. B o y c e. Middle persian literature, Handbuch der  
Orientalistik, I Bd. 2, Leiden-Köln, 1968, გვ. 54-55.

<sup>18</sup> B r u n n e r, დას., ნაშრ., JNES 39, pt.II, გვ.22.

<sup>19</sup> JNES, 39, ნაწ. I, გვ.193.

რის კოპიუსში: ენდრო და ქურციკი. ქრ. ბრუნერი ამ ასპექტში თვალს ავლებს ეზოპურ კოპიუსებს, რომლებშიც მრავლად გვხვდება არაკები თემაზე - თავისი უპირატესობის დამტკიცება, მათში უფრო ღებია ცხოველთა ჭიდილის ამსახველი, გვხვდება "ასიმეტრიული" არაკებიც: მეღა და მაცვადი, პოპულარული - მეღა და ყურძენი და სხვ.

ყურადღებია ის, რომ ირანული ტექსტი წარმოადგენს სინთეზის სემიტურ-ირანული თვალსაზრისის, ცხოვრების წესის, საყოფაცხოვრებო რეალობის არეკვლიას.

სპარსულ ტექსტში პაღმა ეკამათება თხას და უმტკიცებს მას, რომ იგი ზევრად უფრო სასარგებლოა ადამიანისათვის, როგორც მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, ისე უბრალო ხალხისათვის, აღსანიშნავია, რომ პაღმა დოკალიზებულია ასურეთში<sup>20</sup>, ხოლო თხა - ირანულ სამყაროში. პაღმის შესახებ პირდაპირ ნათქვამია -

ერთი ხე გაზრდილა  
მთელ ასურეთს მოსდებია...

შემდეგ ჩამოთვლილია პაღმის ნიშან-თვისებები, მისი გამოყენების მრავალფეროვნება, რაც, აგრეთვე, პარალელს პოულობს სემიტურ ლიტერატურაში. პაღმა სიამაყით ამბობს: "მეფეც მიირთმევს ჩემს ნუგზარ ნაყოფს" და "რძე ვარ მე საზრდო გლეხიკაცისთვის და ტკბილი თაფლი დიდებულთათვის", ან:

"აგრეთვე ხალხი არაფრის მქონე,  
რომელთ არა აქვთ პური და ღვინო,  
ჩემს ნაყოფს ჭამენ და მოსთვლიან,  
ვიდრე კარგად არ დანაყრდებიან"

---

20 ცნობილია, რომ ფინიკის პაღმა შუამდინართიდან შემოტანილი იქნა ირანში ჰერ კიდევ აქამანურ ხანაში. აღექსანდრე მაკედონელის დაშტარი სპარსეთზე გაუღისას ძირითადად მისი ნაყოფით იკვებებოდა. სასანურ ხანაშიც ფინიკის პაღმა დიდად იყო გავრცელებული ქვეყნის სამხრეთ რაიონებში. თავისი თვისებებით იგი უფრო ფასობდა, ვიდრე არამეული. ეს კარგად ჩანს ხოსროუ I-ის საგადასახადო დაუთრადან: სპარსული ფინიკის პაღმის ოთხ ძირზე გადასახადი შეადგენდა I დირჰემს, იგივე თანხას იღებდნენ ასურული პაღმის ექვს ძირზე. ირანიდან ფინიკის პაღმა გატანილი იქნა ჩინეთში IX საუკუნის დამდეგს.

ისდამურ პეროლშიც ფინიკის პაღმა ფართოდ იყო გავრცელებული ირანში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მის ეკონომიკაში. М.П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков. М.-Л., 1960, с.213-217.

შვეუდაროთ ირანული ტექსტის ამ ფრაგმენტებს შესატყვისი სემიტიური არაკვებიდან. შუმერული "Inanna and the Gardener Šu-kalle-tuda" გვატყობინებს: "ენა წვედება პადმის ნაყოფის ტკბილ ბუღს"<sup>21</sup>

აქადურ "Tamarisk und Pala"-ში პადმა თავისი უპირატესობის გამო-სავედნად ამაყად აცხადებს:

"ოზლი გოგონა, ქვრივი, საწყალი კაცი  
ჭამენ ჩემს ტკბილ ნაყოფს,  
მეზალეს მიწოდებენ მე.  
და მაქვს დიდებული და მონა.  
ჩემი ნაყოფი ასაზრდოვებს ზავშეს,  
მოზრდილნიც ჭამენ ჩემს ნაყოფს".<sup>22</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ტიპის არაკვებში მხატვრულ მხარეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა<sup>23</sup>. მათში ჭარბობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცხოვრებისეული სინამდვილის ამსახველი მომენტები. წყაროებში გვხვდება მრავალი ცნობა, პადმის ნაყოფის გამოყენების დამადასტურებელი.

პადმის გვირგვინის ბული ან მარტივად პადმის ბული შედგება ნაზი მასისგან, იჭმევა და აქვს წაზღის მსგავსი გემო<sup>24</sup>.

თხასთან პაექრობის დროს პადმა ამზობს, რომ

"მე ვარ ფიცარი გემებისათვის,  
აგრეთვე ანძა იაღქნისათვის".

ამ შემთხვევაშიც პადმა სიმართლეს არ ღადატობს, რადგანაც პადმის ხე გამოყენებული იყო გემომშენებლობაში. ფიშერის ცნობით, პადმის ხის გან აკეთებდნენ ნავებს<sup>25</sup>.

---

21 B. L a n d s b e r g e r, The Date Palm and its By-products according to the Cuneiform Sources, Graz, 1967, გვ.10.

22 B. L a n d s b e r g e r, 10.

23 C h r. B r u n n e r, დას. ნაშრ., JNES, II, გვ.297.

24 პადმის გვირგვინი შეიცავს დაახლოებით 40-60 ფოთოლს, რომლებიც ყოველ წელს ცხვებიან. უმეტესად ქვემოთ მყოფნი, მათ აყლიან, ნარჩენები ხეს აძლევენ ფარფლისებრ გარეგნობას. წლის განმავლობაში იზრდება დაახლოებით 12 ფოთლი. უმეტესად ყვავილობის წინა თვეებში, უფრო ნაკლებად-ნაყოფის მოწვევისა და შემდგომ პერიოდში. Landsberger, დასახ. ნაშრ. გვ. 22.

25 Landsberger - ის მიხედვით, გვ. 23.

ირანულ არაკში პადმის სიტყვებში იმის შესახებ, რომ  
"ყოყხს აკეთებენ ჩემგან საგვედად,  
დაასუფთაონ რათა სახლ-კარი" -

ასევე პარადელს ნახულობს სემიტურ არაკში:  
"ჩემს ფოთლებზე უკეთ ვერაფერი ვერ  
დაასუფთავენს მეფის სასახლეს" ("Inanna and the Gardener  
Šu-kalle-tuda")<sup>26</sup>  
იგივე ითქმის პადმის სიტყვებზე, რომ

"ფეხსაყმელი ვარ გღებებისათვის  
და ქოშები ვარ ფეხშიშველთათვის".

პადმის ზოტკოებისაგან დამზადებული ფეხსაყმელი ცნობილი იყო მთელ  
აღმოსავლეთში<sup>27</sup>

ირანულ ტექსტში პადმა ნიშნის მოგებით ეუბნება თხას:

"გაამზადებენ თოკებსა ჩემგან  
და იმით ფეხებს შინ შეგიკრავენ"

პადმის ზოტკოებისაგან დაწნული თოკი ფართოდ გავრცელებული საგანია  
აღმოსავლეთის ქვეყნებში. მის დასამზადებლად ზოტკოებს აცლიან ნაოჭიან  
მხარეს, რის შედეგადაც მიიღება ე.წ. huppāiā<sup>28</sup>, მისგან ამზადებენ თოკს.

ცხენის ფაფრის მსგავსი ზოტკოები, რომელთაც შეფუთვნილია ფოთლების  
ძირი და ხშირად ნაყოფიც, წარმოადგენს მასადას მაგარი თოკის დასამზადე-  
ზლად. პადმის ფოთლებს შორის არის რაღაც, მსგავსი ქსოვილისა, რომლისგა-  
ნაც გრეხენ მაღაღზარისხოვან თოკს. ეს თოკები მეტად გამძლე და სანდოა.  
მათი შემეგობით ერთმანეთთან შეკრულია ტივის ფიქრები. ხოლო უხეში ზაწა-  
რი მზადდება ხის ტანის ჩამონათარისგანაც (არაბ. ' idq), იგი არ გამოირ-  
ჩევა სიმგართ და გამოდგება მხოლოდ დროებითი სამუშაოებისათვის<sup>29</sup>

აღნიშნული მასადისგან აკეთებენ აგრეთვე ჭიღოფს, სხვადასხვა სახის  
დაწნულ საგნებს, კაღათებს, გადასაფარებლებს, ქსოვილებს. არაბულად  
პადმის ფოთლის კაღათას ეწოდება hasāf halana. ასე რომ პადმის სიტყვები  
ირანული არაკიდან -

---

26 იქვე, გვ. 10.

27 იქვე, გვ. 22.

28 იქვე, გვ. 18.

29 იქვე.

“და ამზადებენ ჩემგან კადათას,  
სხვადასხვა წამლის შიგ ჩასაწყობად”-  
რეალური ფაქტია.

ჩვენს ტექსტში პაღმა აჭრთხიღებს თხას:

“და მე შეშა ვარ იმ ცეცხლისათვის,  
რომელზეც მწარედ შენ შეიწვევი”

მართლაც, პაღმის შტოები და ღეროს ქვედა ნაწილი გამოყენებულია საწვავად. ამის პრაქტიკას ვხვდებით ირანულ სინამდვილეშიც, რასაც ადასტურებს Yasna, 71.8 და საშუალო სპარსული “შესაქმის წიგნი” Bundahisn. ორივეგან დაპარაკია ცეცხლზე, რომლის მასალაა პაღმის დაჩეხილი ხე (apar-kirrenidak)<sup>30</sup>.

ასევე ცნობილია პაღმის წველის გამოყენება საზრდოდ:

“რძე ვარ მე საზრდო გღებიკაცისთვის  
და ტკბილი თაფლი - ღიღებულთათვის”-

ეუბნება პაღმა თავის მოპაექრეს თხას. პაღმის გამოყენების ეს შემთხვევა ცნობილი იყო მთელ აღმოსავლეთში, როგორც მახლობელში, ისე ინდოეთში: პაღმის ღვინო, უფრო ზუსტად რძე, მიიღება ხის წველისაგან<sup>31</sup>. XV საუკ. მოგზაური Ibn Baţţuta წერს, რომ სამხრეთ ინდოეთში პაღმის რძე გამოყენებულია როგორც ზეთი და თაფლი. XVI საუკ. მისიონერი John da Marignolli ასკვნის, პაღმა ჭრიად სასარგებლო ხეა და მისი ნაყოფისგან ამზადებენ თაფლსა და შაქარს<sup>32</sup>. ფინიკის პაღმის ნაყოფის დიდ სარგებლობაზე საუბარია საშუალო სპარსულ ძეგლში “ხოსროვ კავადანი და ყრმა”

პაექრობას პაღმა ასე ამთავრებს:

“აგრეთვე ხადხი, არაჭრის მქონე,  
რომელთ არა აქვთ პური და ღვინო,

---

<sup>30</sup> Brunner, JNES, vol.39, II, გვ. 296.

<sup>31</sup> Landsberger, გვ. 13.

<sup>32</sup> ციტირებულია Brunner მიხედვით, JNES II, 19. ფინიკის თაფლი (dúšab) აწარმოებდნენ მუსლიმურ ირანშიც. ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით მუყადდასისა და იზნ-ზადხთან. ფინიკის “ღვინის” შესახებ მოგვითხრობენ მანსურ, მუვაჟჟაყი და მარკო პოლო. И.П. Петрушевский, დას. ნაშრ., გვ. 217.

ჩემს ნაყოფს ჭამენ და მოისთვიან,  
ვიდრე კარგად არ დანაყრდებიან”

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ამგვარი ცნობა, რომელსაც გვაწვდის Ibn al-'Awwām: "ფინიკის პალმის მწვანე ნაყოფს აყლიან კანს, გულს აყოფენ საპროყო ნაჭრებად, შემდეგ ახმობენ მშებზე, გამხმარ ნაჭრებს ნაყავენ, მიიღებენ ფქვილს. მას ურევენ მარღს, წყალს, აფუებენ, ზედენ ცომს და აცხობენ პურს"<sup>33</sup>.

"ფინიკის ხეში" პალმა გულისტყვივით ამბობს, რომ ხაღხი სასტიკად ექცევა მას, ამტვრევენ მის ტოტებს და აყენებენ დიდ ზიანს, იმისთვის, რომ ისარგებლონ ნაყოფით. პალმის ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა. ფიშერი, Lbā-ი აღნიშნავენ, რომ პალმის ნაყოფი მიიღება ხის დაღუპვის შედეგად<sup>34</sup>.

ახლა ვნახოთ, როგორ, რა ზარზაროსული საშუალებით, მოიპოვება პალმის წვენი, იგივე რძე. თურმე მის მისაღებად ჭრიან ხის გვირგვინს და ნარჩენში აკეთებენ ღრმულს, სადაც გროვდება წვენი. ბუნებრივია, რომ ამ სასტიკი ქმედობის შედეგად ხე ილუპება. არსებობს მეორე, არანაკლებ ვანდალური საშუალება: პალმის ხეს აჭრიან გვირგვინის ფურცლებს, მაგრამ გულს ტოვებენ და ყოველდღე ანახლებენ ჭრის, ასე რომ დიდი ხნის განმავლობაში მოედინება წვენი<sup>35</sup>.

ამრიგად, მახლობელ აღმოსავლეთში პალმა ხეების მეფე როგორც მას უწოდებენ, უდიდეს როლს ასრულებდა ამ რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სწორედ აქედან შემოტანილი იქნა პალმის ხე ირანში და მისი ესთეტიკა და მკვიდრად იქ<sup>36</sup> საკვდევ ტექსტში პალმის საპაუქრო ნაწყვეტშიც ამჟღავნად ჩანს საკუთრივ ირანული ტრადიცია. მაგ., პალმა ამაყად აცხადებს:

"და მთელ მიწაზე ხვანიკასისა  
სხვა ხე არ არის ჩემი ტანისა"<sup>37</sup>

<sup>33</sup> Brunner, J № 29, vol. 39, II, გვ. 297.

<sup>34</sup> Landsberger, დასახ. ნაშრ., გვ. 13, სქ. 36.

<sup>35</sup> Landsberger, გვ. 13.

<sup>36</sup> ჩვენი აზრით, Bundahish-ში ნათქვამი, რომ "ფინიკის პალმა უფრო ძვირფასია სხვა მცენარეებზე ცასა და მიწას შორის" - ამ კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ნათელი გამომხატულებაა.

<sup>37</sup> შდრ. S. Smith, Notes on "The assyrian tree", გვ. 70.

ხვანირასი - წმინდა ირანული ცნებაა, ირანელთა წარმოდგენის ამსახ-  
ველი.

საერთო ნიშნები ჩანს ირანულ-სემიტურ წარმოდგენებში. გ. ვიდენ-  
გრენი ამას ხსნის ირანული გავლენით, მაგალითად, ირანელთათვის დამახა-  
სიათებელი კოსმოგონიური იდეები დასტურდება სემიტურ ტექსტში: ქვეყანა -  
მიწა ვრცელა და ცა - მაღალი, მზე მიისწრაფვის ჩვეული ზრუნვის მიხედ-  
ვით... და ზრუნვება თავის ადგილზე ერთ დღეში (Esdras, 4:34), შევადა-  
როთ ეს ციტატა ლამის დასასრულის აღწერას საშუაღ სპარსულ ტექსტში:  
xwarsēt abāc ō xwēs gyāg mat u gardišn fražamēnīt "მზე კვდავ თავის  
ადგილზე მოვიდა და ზრუნვა დასრულდა" ასევე ირანული გავლენის კვადს  
ზრუნერი ხედავს Tobit-ის წიგნში, „დემონების მოქმედების აღწერაში,  
უდაზნო - ვითარცა დემონების სამყოფელი, ძაღლის, კეთილი მეგზურის როლი,  
ამაზე ცნობებს ვხვდებით ჯერ კიდევ პეროლოგისთან. დაწერილებით იხ.  
M. Boyce, A Persian Stroughold of Zoroastrianism, Oxford, 1977. და  
რაც მთავარია, ტრანსცენდენტალურ სამყაროში მოგზაურობა გამყოლის მეშვე-  
ობით - კარგად ცნობილი თემაა ირანულ ლიტერატურაში, საკმარისია გავიხ-  
სენოთ წმინდა ვირაფის მოგზაურობა იმ ქვეყანაში.

სემიტური გავლენის ნიმუშად კი გ. ვიდენგრენი მიიჩნევს მეორე  
მოქავექრის სიტყვებს:

|                     |                  |
|---------------------|------------------|
| en-um zarrēn saxwan | kē man ō tō wāxt |
| ci ōn kē            | peš xūk warāz    |
| murvarit afsanēt    | aivāp čang zanēt |
| peš uštūr mast      |                  |

"ეს ოქროს სიტყვები, შენ რომ გითხარი, იმას უგავს, რომ მარგალიტი  
უფრქვიო ღორს, ან ჩანგი უკრა ატეხიდ აქლემს" და დასძენს, არ შეიძლება  
არ გაგვახსენდეს იესოს მიერ გამოყენებული შედარება: "ნუ მისცემთ სიწ-  
მინდესა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა" (მა-  
თე. 7.6)<sup>38</sup>.

მკვლევარი ამ მეტაფორას ხსნის როგორც არამეულიდან შემოსულ ირანულ  
სესხებას. ამაში ეჭვი შეიტანა ქრ. ზრუნერმა, რომლის აზრით, გნოსტიკური  
"მარგალიტის სიმღერა" ("Song of the Pearl") ზეპირი გზით გავრცელდა  
ირანში. პირველ, შესაძლებელია საღვთო ტექსტი ეყრდნობოდეს ამ შემთხვე-  
ვაში რომელიმე მსგავს ხაღბურ ამბავს, ირანულს თუ სხვა წარმოშობისა.  
შესაძარბვლად ავტორი იმორწმებს მანიქურ არაკს მარგალიტის გამზურღავის

---

<sup>38</sup> G. W i d e n g r e n, Iranisch-semitische Kulturbegegnung in  
parthischer Zeit, Cologne-Opladen, 1960, გვ. 36.

შესახებ, რომელიც გვხვდება "პანჩატანტრას" საშუალო სპარსული თარგმანის შესავალში<sup>39</sup>

რაც შეეხება მეორე მოკამათეს - თბას, იგი წმინდა ირანული სამყაროს წარმომადგენელია, ქვეყნის ნომადური მეურნეობისათვის დამახასიათებელი. მის სიტყვებში ჟღერს ირანელთა დეგენდარული ისტორიის გმირების ქება. ჭეშმარიტის მეფობა გაგებულია როგორც ზედნიერი ხანა, სრული პარმონიისა და კეთილდღეობის ნიშნი. თბა იხსენიებს განჭქმულ ირანელ მეომრებს სპანდიატსა და რსტომს. ზრუნერის დაკვირვებით, სპანდიატ, ირანული Spandédāt-ის მოხსენიება აქ სავსებით ბუნებრივია, "ზარერის იადგარიც" მას ქებას უძღვნის, თურანელი არჯასპის წინააღმდეგ მებრძოლს. რაც შეეხება რსტომს, მისი გამოჩენა მკვლევარს მოულოდნელად მიაჩნია, რადგანაც რსტომის დიდი პოპულარობა დაკავშირებულია ფირდოუსის "შაჰ-ნამესთან"<sup>40</sup>

თბა დიდი სიამაყით ღაპარაკობს თავის აუცილებლობაზე ზორასტრული ცერემონიის ჩასატარებლად<sup>41</sup>. შემოქმედ ღმერთს ძლიერს ოპრმაზდს, უმწიკვლო სჯულსა მაზდეანურს, გუშურვატ, ღმერთსა ყველა ცხოველის, პომსაც უძლიერესსა - თბის გარეშე ვერავინ ვერ სყემს თაყვანს. რადგანაც მისგან იღებენ რძეს ღმერთებისათვის შესაწირავად. ზორასტრული ცერემონიის დროს, მაგალითად, Yasna-ს რიტუალის შესრულებისათვის და სხვ. რძეს ურევენ საღვთო მცენარეს პომას<sup>42</sup>, ამ სასმელის გარეშე ზორასტრული რიტუალი შეუძლებელია.

საშუალო სპარსულში gōspand კრებითი სიტყვაა და აერთიანებს წვრილფეხა საქონელს - თბასა და ცხვარს, საპირისპიროდ gāw-ისა - მსხვილფეხა საქონელი, ზროხა<sup>43</sup>. ზორასტრულ რიტუატურაში ვხვდებით ცნობებს რძის გამოყენებისა არა მარტო საღვთო დანიშნულებით, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში: "ეს ხალხი სვამს gōspand-თა რძეს... მას შემდეგ როცა ზავში ძუძუს თავს ანებებს, მას ამ რძეს აძლევენ". (Dātastān ī xrat, 16.16. 4, 7-8).

39 Brunner, JNES, vol. 39, 4, § 110.

40 Brunner, დასახ. ნაშრ., § 71.

41 M. Boyce, Haoma, Priest of Sacrifice, N. B. Henning Memorial Volume, London, 1970, გვ. 62-80.

42 ს. სმიტის აზრით, თბა არის სიმბოლო ზორასტრული რელიგიისა, სადაც მას აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ცხვარს ქრისტიანულ რელიგიაში. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

43 gōspand < gav-spānta- 'წმინდა ხარი'. სასანელთა ხანაში, რაც კარგად ჩანს შაჰურ I წარწერიდან, აღარ სწირავენ ხარს, არამედ ცხვარს. ამიტომ ცხვარმა მიიღო ეს სახელწოდება, ვითარცა ეკონომიკურმა სუბსტიტუტმა. J. Duchene-Guillemin, Autre miettes, Acta Orientalia, 1966, გვ. 73.



თხის თეთრი ზეწვისაგან მზადდება მაზღევანთა ტანისამოსის ერთერთი უცილობელი ატრიბუტი კუსტიკ, ქამარი, რომლის ტარების უფლებას იღებდნენ ზრდადასრულებული მაზღევანელები, თხუთმეტი წლის ასაკში<sup>44</sup>.

ასევე გამოყენებულა თხის ტყავი ზორაასტრეთათვის აუცილებელი განზანვის ცერემონიის პატიაზის დროს, რაზედაც თხა ყურადღებას ამახვილებს.

არანაკლებ დიდია თხის როლი "საერო" საქმეებში. რა არ მზადდება მისი შესანიშნავი ზეწვისა და ტყავისაგან: ნაირნაირი ქსოვილები, სუფრები, დასაფენები, მისი ზეწვისგან გრებენ თოქს. მისი ტყავისა და ზეწვისგან გაკეთებული სარტყლები და თასმები მრავალ რძეშია ნაცადი. ყველაფერი ეს დასტურდება სხვა წყაროებითაც. მაგალითად, VI საუკ. ბიზანტიურ სასოფლო-სამეურნეო წიგნში, რომელიც ცნობილი იყო ირანშიც Warzنامak-ის სახელწოდებით "სამეურნეო წიგნი", ნათქვამია, რომ "თხა იძლევა დიდ შემოსავალს რძის, ყველისა და ხორცის სახით და ამას გარდა მატყლის სახითაც. თხის ზეწვი საჭიროა თოქებისათვის, ტანისამოსისა და მისთ., აგრეთვე ხომადლის მოწყობილობისათვის: იგი გამოძლეა და არ ღებება" Геопоники, გვ. 283. ამავე წიგნის მე-18 თავში ავტორი, სირიულ წყაროზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ "თხა სხვა უტყვ ცხოველებზე უფრო მეტად გონივრია, ეს ჩანს შემდეგიდანაც: როცა თხას თვალზე უჩნდება ღიბრი, იგი მიდის წვეტიან ღერწამში, იჩხვლებს და იცილებს მას", იქვე, გვ. 286.

რაც შეეხება თხის ზეწვის გამოყენებას ქსოვილებისათვის, ამის პარალელს ბრუნერი გამოჰყოფს ებრაულ- სპარსულ არაკში "ცხვარი და ვაზი", რომელშიც ცხვარი აუხადებს "ჩემი ტყავისგან ამზადებენ შეიღვურა ხალს" (xāli-e haftrang)<sup>45</sup>.

გამოყენებისა და ადამიანისთვის მოტანილი სარგებლიანობის მიხედვით შეიმჩნევა დიდი მსგავსება ცხვარსა და თხას შორის. შევედართ თხის სიტყვებს ჩვენი ტექსტიდან ცხვრის ამაყი განცხადება არაკიდან "ცხვარო და ვაზი":

---

44 თ. ჩ ხ ე ი ძ ე. აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში, თბილისი, 1979, გვ. 18.

45 ბრუნერი წერს, რომ თეთრზეწვიანი თხის სახეობა იყო ჰინდიკუშში, მის დასავლეთით მდებარე მხარეებში, იარბუზის მთიანეთსა და კასპიის ზღვის მიდამოებში. Brunner, დასახ. ნაშ. შვნ. 82. ბიზანტიურ სამეურნეო წიგნში აღნიშნულია, რომ საუკეთესო ჯიშისაა მამალი თხა, ხშირი, გრძელი, თეთრი ზეწვის მქონე. Е.Э. Липшиц, Геопоники. Византийская сельскохозяйственная энциклопедия X в. М., 1960, გვ. 283.

“მე ვიძღვევი კარაქს, რძეს,  
აგრეთვე ყველს, მანონს.  
ჩემი რძისაგან იღებენ ნაღებს,  
ჩემი გულია - ჭყდინტი ყველი.  
მათხოვარი და მეფე, ბატონი და ღარიბი-  
ყველანი ხსნას პოულობენ ცხერის შემწეობით.  
ხადხისთვის აუცილებელია ჩემი რძე,  
მისგან დამზადებული მანონი, ყველი, ნოყიერი საჭმელი.  
ქურთებსა თუ ღურებს, თურქებსა თუ ტაჯიკებს,  
ზრმებსა თუ თვადხილულთ, კოჭლთ თუ შვიხებს-  
ყველას სიყოფილე ცხერისგან აქვთ”<sup>46</sup>.

ცხოველთა ტყავის დანიშნულება სამხედრო აღჭურვილობაში ასევე ცნობილი ფაქტია, მაგალითად, აქაღურ “ხარისა და ცხენის” ფრაგმენტში ხარის ჩამოთვლის მისი ტყავის გამოყენების შემთხვევებს სამხედრო საქმეში.

ამ სიმღერა - არაკს აქვს დიდი მნიშვნელობა სხვადასხვა თვალსაზრისით: უნარი გაზაასება - პაექრობისა სპარსულ ღიტირატურაში პოპულარული გახდა და მან მაგრად მოიკიდა ფეხი როგორც ხადხურ ზეპირსიტყვიერებაში, ისე მხატვრულ ღიტირატურაში, მისი გავლენით დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში: სპარსული ღიტირატურის მუნაზერთა /გაზაასება-პაექრობების/ სათავეში დგას არაკი “ფინიკის ხისა და თხის”, რომელიც, მჭიდროდაა დაკავშირებული მყირე აზიის უძველეს ტრადიციასთან და, თავის მხრივ, უხადჰყოფს ირანის კულტურულ-ეკონომიკურ კავშირს ამ სამყაროსთან. ეს ძველი, რა სახითაც მან მოაღწია ჩვენამდე, ირანულ-ზორასტრიული ნაწარმოებია, ამ ღიტირატურისათვის დამახასიათებელი თვისებების მატარებელი /მაზდეანური რელიგიისა და მისი ლეგენდების ქება, ზორასტრიული ცერემონიების აღიარება, ჭემშიდის “ოქროს ხანის” მოხსენიება, დეგენდარული გმირების დასახელება, არაკის დასკვნით ნაწილში ხოსროს წარმოდგენა, როგორც სიდიადისა და კეთილდღეობის სიმბოლოსი და სხვ. მრავალი/, მაგრამ იგი უთუოდ შეიცავს ასურულ-ზაბილონური კულტურის გავლენას /მაგალითად, პადმის მომენტების წესისა და ფინიკის პადმის მრავალმხრივი გამოყენების აღწერისას/, რაც კიდევ ერთი საბუთია ირანის მჭიდრო ურთიერთობისა მყირე აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

“ფინიკის ხე და თხა” საერო ნაწარმოებია<sup>47</sup>, მდიდარი მრავალმხრივი

<sup>46</sup> B r u n n e r, JNES, 1980, vol. 39, I.

<sup>47</sup> ამ აზრს (რომელიც გამოთქმულია West-ის მიერ) არ ეთანხმება სმიტი. იგი თვლის, რომ ესაა რელიგიური თხზულება, ორი იდეოლოგიის ჭიდილის ამსახველი და მასში ზორასტრიული მწერალი ეკამათება პადმას, როგორც ასურული ტრადიციისა და რელიგიის სიმბოლოს. გვ. 73.

ღექსიკის შემცველი, სასაზღვრო ირანის მთელი რიგი ზნე-ჩვეულებების ამსახველი. ამ მხრივაც ეს ნაწარმოები ძვირფასი წყაროა სპარსული ენის, მისი ღექსიკის შესწავლისათვის, რადგანაც ეს საყოფაცხოვრებო ღექსიკა არაა წარმოდგენილი ჩვენამდე მოღწეულ სხვა საშუალო სპარსულ ნაწარმოებებში; გვხვდება რიგი იშვიათად ხმარებული სიტყვებისა; მაგ., *kaškānjīr*, *mašk*.

ეს ჟანრი პაექრობა-გაბაასება დამკვიდრდა მუსლიმური ხანის ირანშიც. უ. რიჰა ახასიათებს რა ახალი სპარსული ღიროკის ჟღერებს, აღნიშნავს, რომ "შეტადმნიშვნელოვანია სიმღერები ნიძღავ-პაექრობის გამომხატველნი */munāzāre/*, რომელნიც ასადიმ ყასიდებში შემოიტანა"<sup>48</sup> მკვლევარი უთითებს, რომ ეს ჟანრი პოპულარული იყო წინარემუსლიმურ ირანულ ღიტერატურაშიც.

ამ სახის ნაწარმოებები ცნობილია ქართულ პოეზიაშიც. გაბაასების ჟღერითაა დაწერილი თეიმურაზის ცნობილი ნაწარმოებები "ვარდბუღბუღიანი", "შამი-ჯარავანიანი", რომელთაც კ. კეკელიძე სპარსულიდან არა თარგმნიდ, არამედ გადმოკეთებულად მიიჩნევს<sup>49</sup> დიადოგის სტილითაა დაწერილი თეიმურაზის ორიგინალური თხზულება "გაზაფხულ-შემოდგომიანი" /ან "შედარება გაზაფხულისა და შემოდგომის"/

მუნაზარეს ტრადიციას ჩანს არჩილ მეფის შემოქმედებაში. გუიხსენოთ მისი "გაბაასება კაცისა და სულისა", აკად. კეკელიძე გამორიყხავს ევროპულ-რუსული *Премие*-ს გავლენას<sup>50</sup> ამ ნაწარმოებზე და სავსებით მართლებულად ამ შემთხვევაში არჩილს თეიმურაზის ტრადიციის მიმდევრად და გამგრძელებლად მიიჩნევს.

---

<sup>48</sup> J. R y p k a, Geschichte der neupersischē Literatur bis zum Beginn des 20. Jh., გვ. 99. აგრეთვე, History of Iranian Literature, Dordrecht, 1967, გვ. 97, 98.

<sup>49</sup> კ. კ ე კ ე ღ ი ძ ე, ძველი ქართული ღიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1941, გვ. 502-505.

<sup>50</sup> ი კ ე ე, გვ. 522; 524. სქ.

કુલ ૦ કુલ ૧૧૯

- |                  |                 |    |
|------------------|-----------------|----|
| ૧-૧૫ ૧૧૧૫ ૧૬ ૧૬૯ | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૧  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૨  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૩  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૪  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૫  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૬  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૭  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૮  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૯  |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૧૦ |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૧૧ |
| ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯  | ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ ૧૬૯ | ૧૨ |

କଟକରୁ ୧୫୫ ୧୫୫-୧

କୈବର୍ତ୍ତ ୧୫୫ ୨୫ ୧୩

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫

ଅନୁ ୧୫୫ ୧୫୫ ୧୫

— ୧୫୧ । — ୧୫୨ ୧୫୩

୧୫୪ ୧୫୫ ୧୫୬

୧୫୭ ୧୫୮ ୧୫୯

୧୬୦ ୧୬୧ ୧୬୨

୧୬୩ ୧୬୪ ୧୬୫

୧୬୬ ୧୬୭ ୧୬୮

୧୬୯ ୧୭୦ ୧୭୧

୧୭୨ ୧୭୩ ୧୭୪

୧୭୫ ୧୭୬ ୧୭୭

୧୭୮ ୧୭୯ ୧୮୦

୧୮୧ ୧୮୨ ୧୮୩

୧୮୪ ୧୮୫ ୧୮୬

୧୮୭ ୧୮୮ ୧୮୯  
୧୯୦ ୧୯୧ ୧୯୨

୧୯୩ ୧୯୪ ୧୯୫  
୧୯୬ ୧୯୭ ୧୯୮

୧୯୯ ୨୦୦ ୨୦୧

୨୦୨ ୨୦୩ ୨୦୪

୨୦୫ ୨୦୬ ୨୦୭

୨୦୮ ୨୦୯ ୨୧୦

୨୧୧ ୨୧୨ ୨୧୩  
୨୧୪ ୨୧୫ ୨୧୬

୨୧୭ ୨୧୮ ୨୧୯  
୨୨୦ ୨୨୧ ୨୨୨

୨୨୩ ୨୨୪ ୨୨୫

୨୨୬ ୨୨୭ ୨୨୮

୨୨୯ ୨୩୦ ୨୩୧

୨୩୨ ୨୩୩ ୨୩୪

॥ ॐ नमो भगवते वासुदेवाय ॥  
 श्रीकृष्णार्जुनसंवादे  
 धर्मक्षेत्रे कुरुक्षेत्रे  
 समवेता युयुत्सवः  
 मामकाः पाण्डवाश्चैव  
 तस्यैवमकाश्विनः ॥१॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥२॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥३॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥४॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥५॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥६॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥७॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥८॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥९॥  
 सचक्रोत्सवोऽपि  
 तस्यैवमकाश्विनः ॥१०॥

१०  
 ११  
 १२  
 १३  
 १४  
 १५  
 १६  
 १७  
 १८  
 १९  
 २०  
 २१  
 २२  
 २३  
 २४  
 २५  
 २६  
 २७  
 २८  
 २९  
 ३०  
 ३१  
 ३२  
 ३३  
 ३४  
 ३५  
 ३६  
 ३७  
 ३८  
 ३९  
 ४०  
 ४१  
 ४२  
 ४३  
 ४४  
 ४५  
 ४६  
 ४७  
 ४८  
 ४९  
 ५०  
 ५१  
 ५२  
 ५३  
 ५४  
 ५५  
 ५६  
 ५७  
 ५८  
 ५९  
 ६०  
 ६१  
 ६२  
 ६३  
 ६४  
 ६५  
 ६६  
 ६७  
 ६८  
 ६९  
 ७०  
 ७१  
 ७२  
 ७३  
 ७४  
 ७५  
 ७६  
 ७७  
 ७८  
 ७९  
 ८०  
 ८१  
 ८२  
 ८३  
 ८४  
 ८५  
 ८६  
 ८७  
 ८८  
 ८९  
 ९०  
 ९१  
 ९२  
 ९३  
 ९४  
 ९५  
 ९६  
 ९७  
 ९८  
 ९९  
 १००

|            |            |    |
|------------|------------|----|
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 54 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 55 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 56 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 57 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 58 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 59 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 60 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 61 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 62 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 63 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 64 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 65 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 66 |
| 1955 ॥ १३७ | 1955 ॥ १३७ | 67 |



|        |        |    |
|--------|--------|----|
| ۱۴-۶۵۲ | ۱۴-۶۵۲ | ۶۸ |
| ۱۴-۶۵۳ | ۱۴-۶۵۳ | ۶۹ |
| ۱۴-۶۵۴ | ۱۴-۶۵۴ | ۷۰ |
| ۱۴-۶۵۵ | ۱۴-۶۵۵ | ۷۱ |
| ۱۴-۶۵۶ | ۱۴-۶۵۶ | ۷۲ |
| ۱۴-۶۵۷ | ۱۴-۶۵۷ | ۷۳ |
| ۱۴-۶۵۸ | ۱۴-۶۵۸ | ۷۴ |
| ۱۴-۶۵۹ | ۱۴-۶۵۹ | ۷۵ |
| ۱۴-۶۶۰ | ۱۴-۶۶۰ | ۷۶ |
| ۱۴-۶۶۱ | ۱۴-۶۶۱ | ۷۷ |
| ۱۴-۶۶۲ | ۱۴-۶۶۲ | ۷۸ |
| ۱۴-۶۶۳ | ۱۴-۶۶۳ | ۷۹ |
| ۱۴-۶۶۴ | ۱۴-۶۶۴ | ۸۰ |
| ۱۴-۶۶۵ | ۱۴-۶۶۵ | ۸۱ |
| ۱۴-۶۶۶ | ۱۴-۶۶۶ | ۸۲ |







pat nām yazdān

1. draxtē rust est  
tar ò sàhr àsürìk
2. bun-as̄ hušk est  
sar-as̄ est tarr
3. warg-as̄ nay mǎnēt  
bar-as̄ mǎnēt angūr
4. širēn bār āwarēt  
martōhmān wasnād
5. an-um<sup>1</sup> draxt buland  
buz ò ham-nīpartēt
6. ku az hač tō awartar hēm  
pat was gōnak èr
7. u-m pat x<sup>w</sup>anīras zamík  
draxtē nēst hamtan

---

<sup>1</sup> აქ გამოიყურება I პირის, მხლ. რიყხვის ნაცვალსახედური სუფიქსი -um. იგი ჩანს აგრეთვე სიტყვებში buz-um, sar-um (29), yawazm (11). მ. ნავაზის მიაჩნია, რომ მისი დართვა არ იწვევს მნიშვნელობის ცვლას და შეიძლება იყოს ენის უფრო ძველი მდგომარეობის ნაშთი, ან ეგვიპტის ქქონდეს ასეთი ფუნქცია - "ეს ხე არის ჩემი თხრობის საგანი და ეს თხაყ არის ჩემი თხრობის საგანი"? გვ. 42, სქ. 5.

ამ ენკლიტიკური ნაცვალსახედის გამოყენების შესახებ "ასურულ ხეში" ქრ. ზრუნერი თავის ნაშრომში A Syntax of Western Middle Iranian (Delmar, N.Y., 1977, გვ. 98.) წერს, რომ იგი უნდა გამოხატავდეს "ეთიკურ" ობიექტს, რომელმაც ტექსტში შეაღწია ადრინდელი ზეპირი გადმოცემებიდან.

8. cē šāh hač man x<sup>w</sup>arēt  
kað nok āwarem bār
9. makūān taxt hēm  
frasp wātpanān
10. gyākrop hač man karēnd  
kē wirāzēnd mēhan u mān
11. yawāzm hač man karēnd  
kē kūpend yaw u b renj
12. daminak hač man karēnd  
āturān wasnād
13. mōk hēm warzikarān  
wālīn hēm wrahnpayān
14. rasan hač man karēnd  
kē tō pāy bandēnd
15. cōb hač man karēnd  
kē tō griw māzēnd
16. mēx hač man karēnd  
kē tō sarkūn kūzēnd
17. hēzom hač man karēnd  
kē tō sēz (?) brēzēnd
18. tāpistān sayak hēm  
pat sar šāhrdārān
19. šīr hēm warzikarān  
angubēn āzātmartān
20. tabangōk hač man karēnd  
dārōkdān wasnād
21. šāhr ō šāhr barēnd  
bīzīšk ō bīzīšk

22. äsyàn hém murwizakàn  
sàyak kàrdakàn
23. astak bè awganèm  
pat nòk bùm ròyet
24. kað hirzènd martumak  
ku-m bè nè winàsènd
25. bašn-um est zargòn  
yat ò röz yawèt
26. ànic martumak  
kè-s nèst may u nàn
27. haç man bär x<sup>w</sup>arènd  
yat amburt östènd
28. kað-s àn wàxt büt  
draxt àsürük
29. buz(m) pàssax<sup>w</sup> karèt  
sar(m) fraž šànet
30. ku tò-ç ò man rànè  
tò-ç ò man nipartè
31. kað è haç man  
kartakan ašnüt
32. bawèt nang öy /apàk/  
halak sax<sup>w</sup>an-at patkàrèt
33. börz<sup>a'</sup>1 dèv bulànd  
bašn-at mánèt dèvgès
34. kè pat sar šèt yam  
pat ò farrax<sup>w</sup> awàm
35. druj dèvàn  
bandak büt hènd martohmàn

36. draxt husk-iç dârbun  
draxt sar-as büt zargön
37. tō hac̄ en kartakān  
sar-at est zargön
38. bē bār burtan sac̄et  
dānak hac̄ dušāgāh
39. yat ō kaḅ baram bār  
hac̄ tō buland apēsūt
40. hakar-t passax<sup>w</sup>e karam  
nang-um bawet grān
41. wāzēnd-um pat afsān  
pārsik martōhm
42. ku wās a'1 u wat-xrat  
apēsūt draxtān
43. yat tō bār āwarē  
martōhmān wasnād
44. gušn-at apar hirzēnd  
pat adwēn cē gawān
45. x<sup>w</sup>at gumānik ahēm  
ku ruspik-zatak a'1
46. ašnow ē dēv buland  
yat hac̄ patkāram
47. dātār ba -varzāvand  
bamik x<sup>w</sup>ābar Ōhrmazd
48. apēcak dēn mazdēsān  
cē čāst x<sup>w</sup>ābar Ōhrmazd
49. yuṭ hac̄ maṇ kē buz hēm  
yastan ne šayet kec



50. čē jīw hač man karënd  
antar yazišn yazdân
51. Gōš-urwagyazd  
harwīn čahārpāyān
52. hawīž hōm takik  
nērōk hač man est
53. hawīž bar-yāmak  
čē pat pušt dārënd
54. yut hač man kē buz hēm  
kartan nē sāyēt
55. kamar hač man karënd  
kē aznāyēt pat murwārēt
56. mōčak hēm saxtak  
āzātān wasnād
57. angustpān hosrōgān  
šāh hamhīrzān
58. mašk-um karënd āpdān  
pat dašt u wiyāpān
59. pat garm rož u rapīh  
sart āp hač mān est
60. maškīzak hač man karënd  
kē sūr apar wirāžēnd
61. satawr sūr wuzurg  
hač man sež (?) wirāžēnd
62. maškīzak hač man karënd  
wasnād šahrdārān
63. kaḏ x<sup>w</sup>atāyān u dahyūpatān  
sar u rēš wirāžēnd

64. pat šikūh u āzarm  
antar kanār darēnd
65. nāmak hač man karēnd  
frawartak dipīwan
66. daftar u pātaxšir  
apar man niwēsēnd
67. zeh hač man karēnd  
ke bandēnd apar drōn
68. warak hač man karēnd  
waxsik buz pašmēn
69. kē āzātān u wazurgān  
apar doš darēnd
70. šikanj (?) hač man karēnd  
kē bandēnd zēn(w)ān
71. kað Rōtastahm u Spand-dāt  
apar bē nišinēnd
72. kē pat mas pīl zandapīl  
darēnd zēnafzār
73. kē pat was kārīčār  
antar kār dārēnd
74. hač bun nē wišēt  
hač band zēnān
75. pīlkahn u kāskañčīr  
ani hērān ađvēn
76. yut hač man kē buz hēm  
kartan nē šāyēt
77. ambān hač man karēnd  
wāžargānān wasnād

78. kē nān u pust u panir  
harwin rōyn-x<sup>w</sup> artik
79. kâpûr u muşk syâh  
u xaz tuxârik
80. was yâmak šâhwâr  
patmočan kanikân
81. pat ambân âwarënd  
frâc ô šahr cê Êrân
82. kustik haç man karënd  
ân-um spêt pašm
83. u taškôk šâhwâr  
patmočan wuzurgân
84. ân-um huvašm (?) kanikân  
pat war u grêw stâyënd
85. êw-um ham-sartak  
haç amâh patwand
86. tan hubôy bôyât  
çigôn gul-dastak-ê
87. srûk-ê 10 watist(ĪK)  
apâc ô pust dârem
88. kôf ô kôf šawam  
wuzurg kišwar bûm
89. haç kust handukân  
tar ô warkaš zarêh
90. yut sartak martô(h)mak  
kê manënd tar ô bûm
91. watistik u warčašm  
kê čašm pat war est

92. sar-aš ō sak mān  
brūk-aš mān martō(h)mān
93. kē dār warg x<sup>w</sup>arēnd  
hač buz šir dušēnd
94. hawiž martō(h)mak  
ziwišn hač man est
95. pēšparak hač man karēnd  
ō wašk u hur mān
96. kē x<sup>w</sup>arēt sahrdār  
kōfdār u āzāt
97. ēw-um bēt awartar  
hač tō draxt āsūrik
98. u hač man šir panir  
bēt afrošak u māst
99. dūy-um kašk karēnd  
wasnād šāhkānan
100. mazdēsnan pātyāp  
pat man pōst dārēnd
101. čang u win ū kannār  
u barbat u tambūr
102. hamak zanēnd  
pat man sarāyēnd
